MED EL

გაკვეთილების კრებული
20 ფერები

hearLIFE

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

გაკვეთილების გეგმა

პირველი დონე, მეორე დონე, მესამე დონე

1. ფერების ბინგო

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

2. გააკეთე ცისარტყელა

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

3. ფერადი წინადადებები

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

4. შეჭამე ცისარტყელა

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

რესურსების შესახებ მითითება: ზოგიერთ რესურსზე მოცემულია ინგლისურენოვანი ტექსტი. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ გთავაზობთ იმავე რესურსის დუბლიკატს ტექსტის გარეშე. შეარჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს მოთხოვნებს.

ჩვენ გვსურს, რომ ეს ნაკრები რაც შეიძლება მეტ ადამიანს დაეხმაროს, ამიტომ თემატური გაკვეთილის ნაკრები შეიძლება ღიად გაზიარდეს შესაბამისი გამოყენებისთვის. თუმცა, MED-EL ინარჩუნებს სრულ უფლებას მასალაზე, ამიტომ შინაარსი არ შეიძლება შეიცვალოს, რემარკირდეს ან გადაკეთდეს კომერციული გამოყენებისთვის.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

- აჩვენებს მოსმენის მიზნებს
- აჩვენებს სალაპარაკო ენის მიზნებს
- აჩვენებს შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნებს

როგორ ავირჩიოთ დონე

პირველი დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ერთი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა ბავშვს ეძლევა მარტივი მოკლე წინადადებებით და გამოიყენება აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ბავშვს შეუძლია აითვისოს ახალი ინფორმაცია.	ბავშვი იყენებს ცალკეულ სიტყვებს, აქვს 200-მდე სიტყვის მარაგი და შესაძლოა დაიწყოს ორსიტყვიანი კომბინაციის გამოყენება.	შემეცნების უნარი ნიშნავს იმას, თუ როგორ ვსწავლობთ, ვიძენთ ცოდნას და ვიგებთ ჩვენი სამყაროს შესახებ. გონების თეორია (ToM) არის აზროვნების უნარი, რომელსაც ჩვენ დროთა განმავლობაში ვანვითარებთ ჩვენი და სხვა ადამიანების ქცევის ახსნისა და პროგნოზირების მიზნით. შემეცნებისა და გონების თეორიის უნარები განვითარებადია. ისინი ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდებიან, თუმცა ბევრ შემეცნებით, გონების თეორიისა და ენის უნარებს შორის ურთიერთკავშირი კომპექსურია, რომელთაგანაც თითოეული მათგანი, ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, რაღაც დონეზე ხელს უწყობს ერთმანეთის განვითარებას. პირველ დონეზე მყოფ მოზრდილ ბავშვებს შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მეტი შემეცნებითი და გონების თეორიის უნარები და საკუთარი თავის გამოხატვისთვის უფრო მეტად ესაჭიროებოდეთ სალაპარაკო ენის ცოდნა. და პირიქით, მესამე დონეზე მყოფი მცირეწლოვანი ბავშვები განვითარების კუთხით შესაძლებელია არ იყვნენ მზად გონების თეორიის ზოგიერთი მიზნის გააზრებისთვის.
მეორე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ორი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია უფრო გრძელი წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში მოცემული ყველა ინფორმაცია.	ბავშვი წარმოთქვამს 2-3 სიტყვის კომბინაციას, აქვს 200-დან 2000-მდე სიტყვის მარაგი და იწყებს გრამატიკული მარკერების გამოყენებას.	
მესამე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის სამი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია სხვადასხვა რთული წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში არსებული გრამატიკული ელემენტები.	ბავშვი წარმოთქვამს 4-5 სიტყვისგან შემდგარ წინადადებებს და შეკითხვებს, აქვს 2000-ზე მეტი სიტყვის მარაგი და იყენებს სხვადასხვა გრამატიკულ მარკერებს.	

თემა: დონე

თემები წარმოდგენილია როგორც მაკრო თემა (ფართო ზოგადი საკითხი, მაგალითად: ცხოველები), რომელსაც მოსდევს დაკავშირებული მიკრო თემა (ვიწრო დაკავშირებული ქვე-თემა), რათა დაეხმაროს ბავშვს, რომ ააწყოს კავშირები სიტყვებს შორის, რაც ამარტივებს სიტყვების დამახსოვრებას.

დაადოკუმენტირეთ ბავშვის რეაქცია გამოვლენის ან მიბაძვის შესახებ.

თითო გაკვეთილის გეგმას აქვს 4 აქტივობა

თითოეულ აქტივობას აქვს რესურსები, რომელიც უნდა ჩამოტვირთოთ და ამობეჭდოთ, ან თუ ელექტრონული სახით არის, შეინახეთ კომპიუტერში ან ტაბლეტში.

რესურსები ადვილად იძებნება ფაილის სახელწოდებით:
თემა - დონე (დ) აქტივობა (ა)
მაგალითად: ცხოველები - დ1 დ2 ა2 = საჭირო რესურსებია - ცხოველების თემა - პირველი დონე და მეორე დონე მეორე აქტივობა

ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ააშენე სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · სახლის ნაწილები • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან	• აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას • იყენებს ზმნებს: დაჭრა/ დაწებება/დაკეცვა	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს
ვინ არის სახლში? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა2	• ითვისებს ერთ საგანს: · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• იმეორებს ან აკეთებს ერთი სიტყვის აღნიშვნას; · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• ესმის "იგივეს" და "არ არის იგივე"მნიშვნელობა
სად უნდა იყოს? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა3	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საგანი · ადგილი	• კატეგორიების ფარგლებში აერთიანებს სიტყვებს; ნივთები სახლში/ ადგილები სახლში	• ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის
ჩემი სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა4	• ითვისებს ზმნებს: დაჭრა, დაკეცვა, დაჭერა, მიწოლა, დათვლა • ითვისებს წიგნს	• ცდილობს გაიმეოროს ერთი სიტყვა ყოველი გვერიდან	• უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

თემა: დონე	ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები
აქტივობის დასახელება	1. ააშენე სახლი
რისი გაკეთებაა საჭირო გაკვეთილის წინ	**მომზადება** ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. თქვენ აპირებთ მუყაოს ყუთისგან სახლის გაკეთებას.
ნაბიჯ - ნაბიჯ მთელი აქტივობის განმავლობაში	1. ამოჭერით ფანჯრები, ფარდები, კარები და საკვამური. (წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ სადაც შესაძლებელია.) 2. შეხედეთ მუყაოს ყუთს და გადაწყვიტეთ, რომელი მხარე იქნება წინა. 3. გადაწყვიტეთ, ყვითელი თუ ცისფერი კარი იქნება წინა მხარეს და მიაწებეთ. 4. მიაწებეთ მეორე კარი უკანა მხარეს. 5. გამოიყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ კარის 3 მხარე ისე, რომ ისინი იხსნებოდეს. 6. მიაწებეთ თითო ფანჯარა ყველა მხარეს. 7. გამოყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ ყველა ფანჯარა შუაში, ზედა და ქვედა მხარეს ისე, რომ იხსნებოდეს. 8. მიაწებეთ ფარდები ყუთის შიგნით, ფანჯრის გახსნის ზედა მხარეს. 9. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი. 10. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.
მიზანი გაკვეთილის გეგმიდან: უნარის მაგალითი	**მოსალოდნელი შედეგები** • ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სახლის ნაწილები: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური. • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან.
მოსმენის ძირითადი სტრატეგია ან მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბავშვის მიზნის მისაღწევად.	**ძირითადი სტრატეგიები** ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ სახლის ნაწილებზე მათი დაჭრისას, ასევე როდესაც გადაწყვეტილებას იღებთ, თუ რომელი ნაწილი გააკეთოთ თავდაპირველად, როდესაც მათ აკრავთ და ბოლოს კიდევ ერთხელ, როდესაც აღფრთოვანდებით თქვენი დასრულებული სახლით. აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფ ბავშვისთან საუბრის დროს გამოყავით ინფორმაციის ერთი ერთეული. წარმოთქვით ეს ერთეული ოდნავ ხმამაღლა ან გააკეთეთ პაუზა საუბრის წინ. ჰმმ... ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ეს ცისფერი კარი ... წინ. (შემოატრიალეთ ყუთი) ან შეიძლება დავაყენოთ ეს ცისფერი კარი... უკან.
	მოსალოდნელი შედეგები • იყენებს ზმნებს: დაჭრა/დაწებება/დაკეცვა. • აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.
	ძირითადი სტრატეგიები ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც წაახალისებთ ბავშს, რომ შემოგიერთდეთ აწყობაში, დაუმატეთ ზმნებს აკუსტიკური აქცენტირებები, შეძლებისდაგვარად ჩასვით ზმნები წინადადების ბოლოში, რათა მისცეთ პირველი დონეზე მყოფ ბავშვს საშუალება, რომ აითვისოს და გაიმეოროს ის. ზუსტად აქ, ამ ხაზზე უნდა გაჭრა. გამოიყენე წებო, რომ დააწებო. გამოიყენეთ ვარიანტები: პასუხის ვარიანტებიან შეკითხვაში სახლის ნაწილების ლექსიკონის გამოყენება უყალიბებს ბავშვს ლექსიკონის მოდელს მათ უშუალო წამორთქვამდე. ეს უფრო ადვილია, ვიდრე უცნობი სიტყვების გახსენება. რა გავაკეთოთ ფანჯარა თუ კარი?
	მოსალოდნელი შედეგები • ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.
	ძირითადი სტრატეგია საბოტაჟი: დადგით ყუთი სხვა კუთხიდან ისე, რომ ბავშვის მშობელმა/აღმზრდელმა ვერ დაინახოს ნაწილი, რომელიც ეს ესაა დაწებეთ. წააქეზეთ მშობელი/აღმზრდელი თქვას, რომ ის ვერ ხედავს. ამით დაეხმარებით ბავშვს გააცნობიეროს, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე. ოჰ, მე ვერ ვხედავ ფანჯარას. მინდა დავინახო ფანჯარა. შეგიძლია მაჩვენო ფანჯარა? მოატრიალე ყუთი, რომ დავინახო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

ფერები: პირველი დონე გაკვეთილების გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ფერების ბინგო **რესურსები** • ფერები დ1 ა1 ყვითელი, ცისფერი, მწვანე, წითელი • ფერები დ1 ა1 • ფერები დ1 დ2 ა1 კამათელი • ფერები დ1 დ2 დ3 ა1 ცისარტყელები	• იგებს ერთი საგნის მნიშვნელობას: · ზმნა: გაგორება · ზედსართავი სახელი: ფერები · არსებითი სახელები	• იმეორებს ან ამბობს: · ფერები · არსებითი სახელები	• ამთხვევს ფერები • ამთხვევს იდენტურ სურათებს
გააკეთე ცისარტყელა **რესურსები** • ფერები დ1 დ2 დ3 ა2 • ფერები დ1 დ2 დ3 ა2 ფერადი ზოლები	• იგებს მარტივ ზმნურ ფრაზებს კონტექსტში.	• ამბობს ფერებს • იმეორებს ზოგიერთ ზმნას	• ესმის, რომ ადამიანებს შეიძლება სხვადასხვა რამ მოსწონდეთ (ფერები)
ფერადი წინადადებები **რესურსები** • ფერები დ1 ა3	• იგებს ერთი საგნის მნიშვნელობას: · არსებითი სახელი · ზმნა	• ცდილობს თქვას ორსიტყვიანი კომბინაცია	• იწყებს სხვა ადამიანების ზოგიერთი გრძნობის გაგებას
შეჭამე ცისარტყელა **რესურსები** • ფერები დ1 დ2 დ3 ა4	• ამახვილებს წინადადებაში ყურადღებას ერთ საგანზე.	• ამბობს წინადადებიდან ერთ სიტყვას	• შეუძლია შეუსაბამოს ობიექტს ფერი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ფერები: მეორე დონე გაკვეთილების გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ფერების ბინგო **რესურსები** • ფერები დ2 ა1 • ფერები დ1 დ2 ა1 • ფერები დ1 დ2 ა1 კამათელი • ფერები დ1 დ2 დ3 ა1 ცისარტყელები	• ითვისებს ორ ელემენტს: ფერი + საგანი	• ამბობს ფერი + საგანი	• ესმის ემოციები, რომლებიც დაკავშირებულია მოგებასთან და წაგებასთან
გააკეთე ცისარტყელა **რესურსები** • ფერები დ1 დ2 დ3 ა2 • ფერები დ1 დ2 დ3 ა2 ფერადი ზოლები	• ესმის რიგობითი რიცხვითი სახელები: პირველი, მეორე, მესამე	• აერთიანებს ზმნას + ფერს	• საუბრობს მისთვის გამორჩეულად საყვარელ ფერზე
ფერადი წინადადებები **რესურსები** • ფერები დ2 ა3	• იგებს ორი საგნის მნიშვნელობას: · არსებითი სახელი + ზმნა • პასუხობს კითხვებზე "სად..."	• აერთიანებს არსებით სახელს + ზმნას • ამბობს თანდებულიან ფრაზას	• შეუძლია სხვა ადამიანების გრძნობების ამოცნობა
შეჭამე ცისარტყელა **რესურსები** • ფერები დ1 დ2 დ3 ა4	• შეუძლია წინადადებიდან 2-3 სიტყვის დამახსოვრება	• ამბობს ზედსართავ სახელს ან რიცხვით სახელს	• საუბრობს საგნებზე ფერების მიხედვით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ფერები: მესამე დონე გაკვეთილების გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ფერების ბინგო **რესურსები** • ფერები დ3 ა1 • ფერები დ1 დ2 დ3 ა1 ცისარტყელები	• ითვისებს სამ ელემენტს: ზომა + ფერი + საგანი	• ამბობს ზომა + ფერი + საგანი	• იყენებს სიტყვებს მოგებასთან და წაგებასთან დაკავშირებული ემოციების გამოსახატავად.
გააკეთე ცისარტყელა **რესურსები** • ფერები დ1 დ2 დ3 ა2 • ფერები დ1 დ2 დ3 ა2 ფერადი ზოლები	• იგებს მნიშვნელობას: მანამდე/მერე	• იძლევა მითითებებს სიტყვების - მანამდე/ მერე-ს გამოყენებით	• ეკითხება სხვებს მათი საყვარელი ფერის შესახებ
ფერადი წინადადებები **რესურსები** • ფერები დ3 ა3	• იგებს სამი საგნის მნიშვნელობას: · არსებითი სახელი + ზმნა + ადგილმდებარეობა • პასუხობს კითხვებზე "როდის..."	• აერთიანებს არსებით სახელს + ზმნას + თანდებულიან ფრაზას • იყენებს მესამე პირის ზმნებს	• საუბრობს სხვა ადამიანების გრძნობების შესახებ და სთავაზობს დახმარებას
შეჭამე ცისარტყელა **რესურსები** • ფერები დ1 დ2 დ3 ა4	• შეუძლია თითო წინადადებიდან 4-5 სიტყვის გამეორება	• ამბობს ზედსართავ სახელს ან რიცხვით სახელს • იყენებს ზოგიერთ გამყოფ სიტყვას	• შეუძლია შეადგინოს კონკრეტული ფერის პროდუქტების ჩამონათვალი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. ფერების ბინგო

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. ამოჭერით კამათლის ფორმ
ამოჭერით ცისარტყელას ბარათები

რესურსები

- ფერები დ1 ა1 ყვითელი, ცისფერი, მწვანე, წითელი
- ფერები დ1 ა1
- ფერები დ1 დ2 ა1 კამათელი
- ფერები დ1 დ2 დ3 ა1 ცისარტყელები
- მაკრატელი და წებოვანი ლენტი

თქვენ უნდა გააკეთოთ "ფერადი კამათელი" და შემდეგ ითამაშეთ ბინგო.

1. ბავშვთან ერთად ამოჭრა ბარათები გვერდზე "ფერები დ1 ა1" (ეს არის შავი წყვეტილი ხაზებით მოყვანილი სურათები). ამოჭრის პროცესში ისაუბრეთ თითოეულ სურათზე. დაალაგეთ ბარათები შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ. ეს არის ბინგოს ბარათები.
2. გააკეთეთ კამათელი, ამისათის დაკეცეთ დასაკეცი ადგილებში და ააწყეთ კუბიკებად, შემდეგ დააწებეთ გვერდები წებოვანი ლენტით. დაწებების პროცესში ისაუბრეთ თითოეულ ფერზე.
3. დაარიგეთ ბინგოს გვერდები ისე, რომ თითოეულ მოთამაშეს ჰქონდეს ერთი ფერი.
4. დაარიგეთ ცისარტყელას ბარათები.
5. მოთამაშე #1 აგორებს კამათელს და ამბობს ფერს. ამ ფერადი ბინგოს გვერდის მქონე ადამიანი აიღებს ცისარტყელას ბარათს. თუ კამათელი აჩვენებს 4 ფერს, ყველა მოთამაშე აიღებს ცისარტყელას ბარათებს. მოთამაშე #1 იღებს ბარათს ბინგოს ბარათების შეკვრიდან და აცხადებს სურათის სახელს. იმ მოთამაშეს ან მოთამაშეებს, რომლებსაც ექნებათ ცისარტყელა, დადებენ მას სურათზე.
6. მოთამაშე #2 ხდება "დამძახებელი"და აგორებს კამათლებს, ასახელებს ფერს, მერე იღებს შემდეგ სურათს ბინგოს ბარათების შეკვრიდან.
7. რიგრიგობით იყავით "დამძახებელი" და ითამაშეთ მანამ, სანამ ვინმე ზედიზედ არ მოაგროვებს სამ ცისარტყელას. საჭიროების შემთხვევაში აურიეთ ბინგოს ბარათები.

მოსალოდნელი შედეგები

- იგებს ერთი საგნის მნიშვნელობას: ზმნა (დაჭრა/გაგორება), ზედსართავი სახელი (ფერი), არსებითი სახელი (მაგალითად: ყვავილი).

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე და აკუსტიკური აქცენტირება: დაურთეთ სიტყვები ყველა იმ აქტივობას და მოქმედებას, რომელსაც ბავშვთან ერთად აკეთებთ, მათ შორის მასალების მომზადების დროს და მოუწოდეთ მშობელს/აღმზრდელს იგივე გააკეთოს. ზმნებზე ყურადღების მისაქცევად, გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირების მეთოდი და გადაიტანეთ მნიშვნელოვანი სიტყვები წინადადების ბოლოს. ახლა შეგიძლია გაჭრა. შენი ჯერია და უნდა გააგორო.

სმენითი სენდვიჩი: მიაწოდეთ ინფორმაცია "ყურადღებით მოსმენის" მეთოდით. სანამ კამათელს გააგორებთ, დამალეთ იგი და თქვით ფერი. დამალეთ სურათი ბარათის აღებისას და სურათის აღნიშვნისას. მიეცით ბავშვს ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობა და თუ კამათლის ან ბარათის ჩვენება მაინც დაგჭირდებათ, კვლავ გაუმეორეთ სიტყვები.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს ან ამბობს colours/nouns.

ძირითადი სტრატეგია

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: როდესაც დადგება ბავშვის გამოცხადების ჯერი, გააგორებინეთ მას კამათელი და აჩვენეთ ბავშვს თქვენი "მომლოდინეს მზერა". დაიხარეთ მისკენ, ასწიეთ წარბები და წაახალისეთ გამამხნევებელი ღიმილით, ამით თქვენ გასაგებად აგრძნობინებთ, რომ მისი თქმის ჯერია. თუ ბავშვი არ დაიწყებს ლაპარაკს, მოუწოდეთ მშობელს/აღმზრდელს დახუჭოს თვალები, რომ ბავშვმა შეძლოს ინფორმაციის გაზიარება. წაახალისეთ ბავშვი გაიმეოროს. ნახე, დედა არ იყურება. უთხარი, რომ ის ცისფერია.

მოსალოდნელი შედეგები

- ამთხვევს იდენტურ ფერებს/სურათებს.

ძირითადი სტრატეგია

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი: სურათების დამთხვევა არის ვიზუალური უნარი. დაამატეთ სალაპარაკო ენის მოდელები და წაახალისეთ ბავშვი გაიმეოროს მოსმენილი, რითაც დაეხმარებით ბავშვს მოსმენის საშუალებით საკუთარი მეტყველების გაკონტროლებაში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. ფერების ბინგო

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. ამოჭერით ცისარტყელას ბარათები

რესურსები

- ფერები დ2 ა1
- ფერები დ2 ა1 ბარათები
- ფერები დ1 დ2 დ3 ა1 ცისარტყელები (შეიძლება დაგჭირდეთ 2 ეგზემპლარი)

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით ბარათები. ამოჭრის პროცესში ისაუბრეთ თითოეულ სურათზე. დაალაგეთ ბარათები შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ. ეს არის ბინგოს ბარათები.
2. დაარიგეთ ბინგოს გვერდები ისე, რომ თითოეულ მოთამაშეს შეხვდეს ერთი გვერდი.
3. დაარიგეთ ცისარტყელას ბარათები.
4. მოთამაშე #1 იღებს ბარათს და ასახელებს ფერს და საგანს; მაგალითად "ყვითელი მანქანა". მოთამაშე, რომელსაც აქვს ბინგოს ბარათზე შესაბამისი სურათი, დებს მასზე ცისარტყელას.
5. მოთამაშე #2 ხდება დამძახებელი, იღებს ბარათს და ასახელებს მას.
6. გაიმეორეთ მანამ, სანამ ერთ მოთამაშეს ან რიგში ან სვეტში არ ექნება მოგროვებული ზედიზედ 3 ცისარტყელა. ისინი ყვირიან "ბინგოს" და იგებენ თამაშს.

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს ორ ნივთს: ფერი + საგანი, მაგალითად მწვანე წინდები.

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: მას შემდეგ, რაც ბავშვი მსმენელის პირველი დონიდან მეორეზე გადავა, ჩვენ უნდა დავეხმაროთ ბავშვს მეტი ინფორმაციის მიღებაში. ბავშვს შედარებით უადვილდება ბოლო სიტყვის დამახსოვრება, ამიტომ დაეხმარეთ მას ფერზე ყურადღების მიქცევაში ამ სიტყვაზე აკუსტიკური აქცენტირების დამატებით; წარმოთქვით იგი ცოტა ხმამაღლა ან ნელა, რის შემდეგაც გააკეთეთ პატარა პაუზა. მე მაქვს წითელი .. თევზი

სმენითი სენდვიჩი: მიაწოდეთ ინფორმაცია "ყურადღებით მოსმენის" მეთოდით. გამოცხადების დროს დამალეთ ბავშვისგან ბარათი, რათა მისცეთ მას მოსმენის გზით ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობა და თუ კამათლის ან ბარათის ჩვენება მაინც დაგჭირდებათ, კვლავ გაუმეორეთ სიტყვები.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს ან ამბობს ფერებს/საგანს.

ძირითადი სტრატეგიები

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ როდესაც დადგება ბავშვის გამოცხადების ჯერი, ააღებინეთ მას ბარათი და აჩვენეთ თქვენი "მომლოდინეს მზერა". დაიხარეთ მისკენ, ასწიეთ წარბები და წაახალისეთ გამამხნევებელი ღიმილით, ამით თქვენ გასაგებად აგრძნობინებთ, რომ მისი თქმის ჯერია.

გავრცობა და განგრძობა: ბავშვმა შეიძლება გამოაცხადოს მოცემული ორი ინფორმაციიდან მხოლოდ ერთი ინფორმაციის ნაწილი. ვარიანტებიანი შეკითხვებით მიაწოდეთ ბავშვს გაფართოებული ენის მოდელი, რათა მოისმინოს სწორი ენის მოდელები ბუნებრივ კონტექსტში. ჩვენ უნდა მოვძებნოთწითელი ჭიქა თუ ცისფერი ჭიქა?

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის ემოციები, რომლებიც დაკავშირებულია მოგებასთან და წაგებასთან.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მონაცვლეობითი წესის სწავლა მნიშვნელოვანი სოციალური უნარია. გაარკვიეთ ბავშვის მშობლებთან, თუ როგორ სურთ რომ ბავშვმა იმოქმედოს და შესთავაზეთ თამაშის დროს ამის შესაბამისი სალაპარაკო ენის მოდელები. ოჰ, მამამ მოიგო. ყოჩაღ მამა. იქნებ შემდეგში მე მოვიგო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

აქტივობა

1. ფერების ბინგო

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.
ამოჭერით ცისარტყელას ბარათები

რესურსები

- ფერები d3 a1
- ფერები d3 a1 ბარათები
- ფერები d1 d2 d3 a1 ცისარტყელები (შეიძლება დაგჭირდეთ 2 ეგზემპლარი)

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით ბარათები. ამოჭრის პროცესში ისაუბრეთ თითოეულ სურათზე. მიუთითეთ რომელი სურათები არის დიდი და რომელია პატარა. დაალაგეთ ბარათები შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ. ეს არის ბინგოს ბარათები.
2. დაარიგეთ ბინგოს გვერდები ისე, რომ თითოეულ მოთამაშეს შეხვდეს ერთი გვერდი.
3. დაარიგეთ ცისარტყელას ბარათები.
4. მოთამაშე #1 იღებს ბარათს და ასახელებს ზომას, ფერს და საგანს; მაგალითად "დიდი ყვითელი წინდა". მოთამაშე, რომელსაც აქვს ბინგოს ბარათზე შესაბამისი სურათი, დებს მასზე ცისარტყელას.
5. მოთამაშე #2 ხდება დამძახებელი, იღებს ბარათს და ასახელებს მას.
6. გაიმეორეთ მანამ, სანამ ერთ მოთამაშეს ან რიგში ან სვეტში არ ექნება მოგროვებული ზედიზედ 3 ცისარტყელა. ისინი ყვირიან "ბინგოს" და იგებენ თამაშს.

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს სამ ელემენტს: ზომა + ფერი + საგანი; მაგალითად: დიდი ცისფერი ჭიქა.

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: მას შემდეგ, რაც ბავშვი მსმენელის მეორე დონიდან მესამეზე გადავა, ჩვენ უნდა დავეხმაროთ ბავშვს მეტი ინფორმაციის მიღებაში. დაეხმარეთ ბავშვს თითოეულ ნივთზე ყურადღების მიქცევაში ამ სიტყვაზე აკუსტიკური აქცენტირების დამატებით; წარმოთქვით იგი ცოტა ხმამაღლა ან ნელა, რის შემდეგაც გააკეთეთ პატარა პაუზა. მე მაქვს პატარა ... წითელი... ბუშტი.

მოაწყეთ საბოტაჟი + გამოიყენეთ ვარიანტები: მიაწოდეთ ინფორმაცია "ყურადღებით მოსმენის" მეთოდით. გამოცხადების დროს დამალეთ ბავშვისგან ბარათი, რათა მისცეთ მას მოსმენის გზით ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობა და თუ კამათლის ან ბარათის ჩვენება მაინც დაგჭირდებათ, კვლავ გაუმეორეთ სიტყვები. დაეხმარეთ ბავშვს აითვისოს ზომის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელი, მიუთითეთ მას ბინგოს გვერდებზე არსებულ როგორც დიდ, ისე პატარა გამოსახულებაზე, შემდეგ კი გაიმეორეთ ბარათის შესახებ ინფორმაცია. ნახე, აქ არის დიდი მწვანე ყვავილი და აქ არის პატარა მწვანე ყვავილი. ეს არის პატარა მწვანე ყვავილი.

მოსალოდნელი შედეგები

- ამბობს ზომა + ფერი + საგანი.

ძირითადი სტრატეგიები

გავრცობა და განგრძობა + გამოიყენეთ ვარიანტები: ბავშვმა შეიძლება გამოაცხადოს მოცემული სამი ინფორმაციიდან მხოლოდ ორი ინფორმაციის ნაწილი. ვარიანტებიანი შეკითხვებით მიაწოდეთ ბავშვს გაფართოებული ენის მოდელი, რათა მოისმინოს სწორი ენის მოდელები ბუნებრივ კონტექსტში. ჩვენ უნდა მოვძებნოთდიდი წითელი ჭიქა თუ პატარა ლურჯი ჭიქა?

საბოტაჟი: შეგნებულად დადეთ ცისარტყელა არასწორ სურათზე, რათა შეიქმნას პრობლემა, რომლის მოგვარებისთვისაც ბავშვს ლაპარაკი დასჭირდება.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს სიტყვებს მოგებასთან და წაგებასთან დაკავშირებული ემოციების გამოსახატავად.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მონაცვლეობითი წესის სწავლა მნიშვნელოვანი სოციალური უნარია. გაარკვიეთ ბავშვის მშობლებთან, თუ როგორ სურთ რომ ბავშვმა იმოქმედოს და შესთავაზეთ თამაშის დროს ამის შესაბამისი სალაპარაკო ენის მოდელები. ოჰ, მამამ მოიგო. ყოჩაღ მამა. მოდი ყველამ ვთქვათ "გილოცავ, მამა!". იქნებ შემდეგში ჩვენ მოვიგოთ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ფერები დ1 ა1 - კამათელი

1. ფერების ბინგო

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 250 გრ

1. ფერების ბინგო



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 250 გრ

1. ფერების ბინგო

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ფერების ბინგო

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 250 გრ

აქტივობა

2. გააკეთე ცისარტყელა

მომზადება

ამობეჭდეთ ფერების d1 d2 d3 a2 (ცისარტყელას ფორმის) რესურსი პატარა ზომის ბარათებზე. ამობეჭდეთ ფერების d1 d2 d3 a2 ფერადი ზოლები ქაღალდზე, დაჭერით ფერები ზოლებად და ამოჭერით ღრუბლები.

რესურსები

- ფერები d1 d2 d3 a2
- ფერები d1 d2 d3 a2 ფერადი ზოლები
- მაკრატელი და ქაღალდის წებო

თქვენ უნდა გააკეთოთ "დაფლეთილი ქაღალდისგან" სურათი (იაპონელები მას ჩიგირიე-ს უწოდებენ).

1. აჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ უნდა დაფლითოს ქაღალდის პატარა ნაჭრები წითელ ზოლებად.
2. წაუსვით წებო ცისარტყელას გარე ნაწილზე და დააწებეთ ამ მონაკვეთზე ქაღალდის რამდენიმე წითელი ნაჭერი. სრულად შევსება არ არის საჭირო.
3. გაიმეორეთ ეს პროცესი ცისარტყელას ყველა ფერისთვის. ამის გაკეთება თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერი თანმიმდევრობით.
4. როდესაც ყველა ფერი მზად იქნება, დააწებეთ ცისარტყელას ორივე ბოლოში თითო ღრუბელი და ისიამოვნეთ თქვენი ნამუშევარით.
5. იმღერეთ სიმღერა ცისარტყელაზე. თუ არ იცით, სცადეთ ეს:

დიდი დიდი ცისარტყელა	მღერის: "მე პატარა ჩაიდანი ვარ"
ეს არის დიდი, დიდი ცისარტყელა ცაში, ლამაზი ფერებით ძალიან მაღლა.	როდესაც წვიმა იწყება და მზე ამოდის - ლამაზი ცისარტყელა გამოდის!

მოსალოდნელი შედეგები

- იგებს მარტივ ზმნურ ფრაზებს კონტექსტში, მაგალითად: დაფლეთა, დაწებება, დაჭერა.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: ბავშვებს მოსწონთ ხელოვნება და ხელნაკეთი ნივთების დამზადება და ეს მოსმენაზე კონცენტრირების მშვენიერი შანსია. სურათის აწყობის პროცესში, ყოველი მოქმედების დაწყებამდე გამოიყენეთ მარტივი ენა და ბევრჯერ გაიმეორეთ სიტყვები. ნახე როგორ ვაქუცმაცებ.ახლა შენ დააქუცმაცე. კარგი, ახლა ჩვენ უნდა დავაწებოთ...

სმენითი სენდვიჩი: ბავშვი შეისწავლის ფერების თანმიმდევრობას. დაფლითეთ, დააწებეთ, მიაკარით თავის ადგილას, ამით ბავშვს საშუალება ექნება გამოიყენოს კონტექსტი, რაც დაეხმარება მას მოსმენილი სიტყვების გაგებაში. საჭიროების შემთხვევაში, სიტყვის წარმოთქმის შემდეგ შეგიძლიათ დაამატოთ ჟესტი "ყურადღებით მოსმენის" მეთოდის გამოყენებით და შემდეგ კვლავ თქვით სიტყვა, რათა დაასრულდოთ სმენითი სენდვიჩი.

მოსალოდნელი შედეგები

- ამბობს ფერებს.
- იმეორებს ზოგიერთ ზმნას.

ძირითადი სტრატეგიები

ფიქრის იგივე ადგილი: წაახალისეთ ბავშვი აირჩიოს შემდეგი ფერი, რათა დარწმუნდეთ იმაში, რომ თქვენი სიტყვები შეესაბამება იმას, რაზეც შეიძლება ფიქრობდეს ბავშვი. ბავშვის მიერ ფერების გამოყენება განსხვავდება ბავშვის უნარ-ჩვევების ან სახლის გარემოში ამ უნარის განვითარების მნიშვნელობის მინიჭების მიხედვით, მაგრამ 3 წლის ასაკში ბავშვს უნდა შეეძლოს რამდენიმე ფერის დასახელება.

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა: დაურთეთ სიმღერა რაც შეიძლება მეტ აქტივობას. მსგავსი სიმღერები ხელს უწყობს სიტყვათა მარაგის განმტკიცებას, მათი ურთიერთკავშირების ამოცნობით, ე.ი. ცისარტყელა, ფერები, ცა, წვიმა, მზე.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ ადამიანებს შეიძლება სხვადასხვა რამ მოსწონდეთ (ფერები).

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ თქვენს საყვარელ ფერზე, რათა ბავშვმა განავითაროს გონების თეორიის უნარები და გააცნობიეროს, რომ ყველას შეიძლება მოწონდეს სხვადასხვა რამ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. გააკეთე ცისარტყელა

მომზადება

ამობეჭდეთ ფერების d1 d2 d3 a2 (ცისარტყელას ფორმის) რესურსი პატარა ზომის ბარათებზე. ამობეჭდეთ ფერების d1 d2 d3 a2 ფერადი ზოლები ქაღალდზე, დაჭერით ფერები ზოლებად და ამოჭერით ღრუბლები.

რესურსები

- ფერები d1 d2 d3 a2
- ფერები d1 d2 d3 a2 ფერადი ზოლები
- მაკრატელი და ქაღალდის წებო

თქვენ უნდა გააკეთოთ "დაფლეთილი ქაღალდისგან" სურათი (იაპონელები მას ჩიგირიე-ს უწოდებენ).

1. ისაუბრეთ იმაზე, რომ წითელი ფერი არის ცისარტყელის ზედა ნაწილში ან მის ირგვლივ და როგორ აპირებთ ამის გაკეთებას.
2. აჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ უნდა დაფლითოს ქაღალდის პატარა ნაჭრები წითელ ზოლებად.
3. წაუსვით წებო ცისარტყელას გარე ნაწილზე და დააწებეთ ამ მონაკვეთზე ქაღალდის რამდენიმე წითელი ნაჭერი. სრულად შევსება არ არის საჭირო.
4. გაიმეორეთ ეს პროცესი ცისარტყელას ყველა ფერისთვის. თქვენ შეგიძლიათ ერთად გადაწყვიტოთ, თუ რა თანმიმდევრობით გააკეთოთ ფერები. თქვენ შეგიძლიათ დააწებოთ ფერები ზემოდან ქვემოთ, ან შეგიძლიათ ჯერ აირჩიოთ რომელი ფერის დამზადება გსურთ და შემდეგ იპოვოთ ის ცისარტყელაზე.
5. როდესაც ყველა ფერი მზად იქნება, დააწებეთ ცისარტყელას ორივე ბოლოში თითო ღრუბელი და ისიამოვნეთ თქვენი ნამუშევარით.
6. იმღერეთ სიმღერა ცისარტყელაზე. თუ არ იცით, სცადეთ ეს:

დიდი დიდი ცისარტყელა	მღერის: "მე პატარა ჩაიდანი ვარ"
ეს არის დიდი, დიდი ცისარტყელა ცაში, ლამაზი ფერებით ძალიან მაღლა.	როდესაც წვიმა იწყება და მზე ამოდის - ლამაზი ცისარტყელა გამოდის!

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის რიგობითი რიცხვითი სახელები: პირველი, მეორე, მესამე

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: ბავშვებს მოსწონთ ხელოვნება და ხელნაკეთი ნივთების დამზადება და ეს მოსმენაზე კონცენტრირების მშვენიერი შანსია. სურათის აწყობის პროცესში, ყოველი მოქმედების დაწყებამდე გამოიყენეთ მარტივი ენა და ბევრჯერ გაიმეორეთ სიტყვები. ნახე როგორ ვაქუცმაცებ ქაღალდს. ახლა შენ დააქუცმაცე ქაღალდი.

აკუსტიკური აქცენტირება: გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირების მეთოდი, რათა გაამახვილოთ ბავშვის ყურადღება იმ სიტყვებზე, რომლებიც მიგითითებთ მოქმედებების თანმიმდევრობაზე. ამ სიტყვების ბუნებრივი კონტექსტში აქცენტირება დაეხმარება ბავშვს გაიგოს მათი მნიშვნელობა. პირველი ზოლი გავაკეთეთ წითელი. მეორე ზოლი დავაწებეთ ნარინჯისფერი. მესამე ზოლი ყვითელი.

მოსალოდნელი შედეგები

- აერთიანებს ზმნას + ფერს, მაგალითად: დავფლითოთ წითელი/დავაწებოთ ყვითელი.

ძირითადი სტრატეგიები

ფიქრის იგივე ადგილი: დაამატეთ სალაპარაკო ენა ბავშვის ნებისმიერ ქმედებას. ამ გზით თქვენი სიტყვები დაემთხვევა იმას, რაზეც შეიძლება ფიქრობდეს ბავშვი. ყოჩაღ, კარგია. ვაქუცმაცებთ ქალალდს.

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა: დაურთეთ სიმღერა რაც შეიძლება მეტ აქტივობას. მსგავსი სიმღერები ხელს უწყობს სიტყვათა მარაგის განმტკიცებას, მათი ურთიერთკავშირების ამოცნობით, ე.ი. ცისარტყელა, ფერები, ცა, წვიმა, მზე.

მოსალოდნელი შედეგები

- საუბრობს მისთვის გამორჩეულად საყვარელ ფერზე.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ თქვენს საყვარელ ფერზე, რათა ბავშვმა განავითაროს გონების თეორიის უნარები და გააცნობიეროს, რომ ყველას შეიძლება მოწონდეს სხვადასხვა რამ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. გააკეთე ცისარტყელა

მომზადება

ამობეჭდეთ ფერების d1 d2 d3 a2 (ცისარტყელას ფორმის) რესურსი პატარა ზომის ბარათებზე. ამობეჭდეთ ფერების d1 d2 d3 a2 ფერადი ზოლები ქაღალდზე, დაჭერით ფერები ზოლებად და ამოჭერით ღრუბლები.

რესურსები

- ფერები d1 d2 d3 a2
- ფერები d1 d2 d3 a2 ფერადი ზოლები
- მაკრატელი და ქაღალდის წებო

თქვენ უნდა გააკეთოთ "დაფლეთილი ქაღალდისგან" სურათი (იაპონელები მას ჩიგირიე-ს უწოდებენ).

1. ისაუბრეთ იმაზე, რომ წითელი ფერი არის ცისარტყელის ზედა ნაწილში ან მის ირგვლივ და როგორ აპირებთ ამის გაკეთებას, ან ისაუბრეთ ყველა ფერის დაწებების წინ.
2. მიუთითეთ ღრუბლებზე და აუხსენით, რომ მათ დააწებებთ ცისარტყელას დამზადების შემდეგ.
3. აჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ უნდა დაფლითოს ქაღალდის პატარა ნაჭრები წითელ ზოლებად.
4. წაუსვით წებო ცისარტყელას გარე ნაწილზე და დააწებეთ ამ მონაკვეთზე ქაღალდის რამდენიმე წითელი ნაჭერი. სრულად შევსება არ არის საჭირო.
5. გაიმეორეთ ეს პროცესი ცისარტყელას ყველა ფერისთვის. თქვენ შეგიძლიათ ერთად გადაწყვიტოთ, თუ რა თანმიმდევრობით გააკეთოთ ფერები. თქვენ შეგიძლიათ დააწებოთ ფერები ზემოდან ქვემოთ, ან შეგიძლიათ ჯერ აირჩიოთ რომელი ფერის დამზადება გსურთ და შემდეგ იპოვოთ ის ცისარტყელაზე.
6. როდესაც ყველა ფერი მზად იქნება, დააწებეთ ცისარტყელას ორივე ბოლოში თითო ღრუბელი და ისიამოვნეთ თქვენი ნამუშევარით.
7. იმღერეთ სიმღერა ცისარტყელაზე. თუ არ იცით, სცადეთ ეს:

დიდი დიდი ცისარტყელა	მღერის: "მე პატარა ჩაიდანი ვარ"
ეს არის დიდი, დიდი ცისარტყელა ცაში, ლამაზი ფერებით ძალიან მაღლა.	როდესაც წვიმა იწყება და მზე ამოდის - ლამაზი ცისარტყელა გამოდის!

მოსალოდნელი შედეგები

- იგებს მნიშვნელობას: მანამდე/მერე.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: ბავშვებს მოსწონთ ხელოვნება და ხელნაკეთი ნივთების დამზადება. მიეცით ბავშვს მითითება თითოეული ნაბიჯის დაწყებამდე, შემდეგ კი გადახედეთ იგი პროცესის ბოლოს.

აკუსტიკური აქცენტირება: გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირების მეთოდი, რათა გაამახვილოთ ბავშვის ყურადღება იმ სიტყვებზე, რომლებიც მიგითითებთ მოქმედებების თანმიმდევრობაზე. ამ სიტყვების ბუნებრივი კონტექსტში აქცენტირება დაეხმარება ბავშვს გაიგოს მათი მნიშვნელობა. ჩვენ დავასრულებთ ცისარტყელას დამზადებას მანამ, სანამ ღრუბლებს დავაწებებთ / ჩვენ დავაწებებთ ღრუბლებს მას შემდეგ, რაც დავასრულებთ ცისარტყელას დამზადებას.

მოსალოდნელი შედეგები

- იძლევა მითითებებს სიტყვების - მანამდე/მერე-ს გამოყენებით

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: მოგროვდით სამუშაო მაგიდის ირგვლივ ისე, რომ ყველას შეეძლოს რიგრიგობით მოქმედება. წაახალისეთ ბავშვი გაიმეოროს ინსტრუქციები და უთხრას მშობელს/აღმზრდელს თუ რა უნდა გააკეთოს. უთხარი დედას, რომ ნარინჯისფერი ყვითელი ფერის წინ არის.

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა: დაურთეთ სიმღერა რაც შეიძლება მეტ აქტივობას. მსგავსი სიმღერები ხელს უწყობს სიტყვათა მარაგის განმტკიცებას, მათი ურთიერთკავშირების ამოცნობით, ე.ი. ცისარტყელა, ფერები, ცა, წვიმა, მზე.

მოსალოდნელი შედეგები

- ეკითხება სხვებს მათი საყვარელი ფერის შესახებ.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: კითხვების დასმა უპირატესობაზე და გამორჩეულად საყვარელზე არის უნარი, რომელიც ეხმარება ბავშვს მოერგოს და შეეწყოს ჯგუფს და ჯგუფურ აქტივობებს. ჰკითხეთ ბავშვის მშობელს/აღმზრდელს მისი საყვარელი ფერის შესახებ, შემდეგ ჩურჩულით უთხარით მშობელს, რომ სთხოვოს ბავშვს თქვენ დაგისვას იგივე შეკითხვა.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. გააკეთე ცისარტყელა



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ფერები დ1 დ2 დ3 ა2 - ფერადი ზოლები

2. გააკეთე ცისარტყელა







© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. ფერადი წინადადებები

მომზადება

ამობეჭდეთ ფერები დ1 ა3 პატარა ზომის ბარათებზე. მწკრივებად ამოჭერით ერთი და იგივე ფერის სურათები. ამოჭერით თითოეული რიგის ბოლო სურათი და დაალაგეთ ისინი მაგიდაზე. აიღეთ თითოეულ რიგში დარჩენილი 2 სურათი და გადაკეცეთ შუაზე ისე, რომ მარცხნივ გამოსახული სურათი იყოს წინა მხარეს, რის შემდეგაც დასტებად დააწყვეთ.

რესურსები

- ფერები დ1 ა3
- მაკრატელი

თქვენ უნდა დაამთხვიოთ ფერები და შეადგინოთ წინადადება.

1. ბავშვთან ერთად გადახედეთ სურათს პირველი დაკეცილი ბარათის წინა გვერდზე. ისაუბრეთ ცხოველზე, მაგალითად ძაღლზე.
2. გადააბრუნეთ ბარათი და ისაუბრეთ იმ ზმნაზე, რომელიც ასოცირდება ბარათის ამ ნაწილზე მოცემულ სურათთან, მაგალითად, ნიჩაბი = თხრა.
3. როდესაც ბარათს ისევ გადააბრუნებთ გაიმეორეთ 2 სიტყვა (კიდევ 2-ჯერ), შემდეგ სთხოვეთ ყველას მოძებნონ მაგიდაზე ისეთი სურათი, რომელიც ამ სიტყვებს შეესაბამება. მაგალითად, ძაღლი თხრის. როდესაც იპოვით, ისაუბრეთ იმაზე, რომ სურათების გარშემო ერთი და იგივე ფერია, ანუ ყველა ბარათი წითელია.
4. ცხოველებზე სასაუბროდ რიგრიგობით აიღეთ შეკვრიდან ბარათები და გადააბრუნეთ ისინი ზმნაზე სალაპარაკოდ, შემდეგ კი თითოეული იწყებს მაგიდაზე შესატყვისი სურათის ძებნას.
5. როდესაც ბავშვი გაიგებს აქტივობის აზრს, დამალეთ დაკეცილი ბარათები კოლოფში ან ჩანთაში და ამოიღეთ თითო ბარათი ისე, რომ სხვებმა სურათი ან ფერი არ დაინახონ. ბარათის ჩვენებამდე ისაუბრეთ ცხოველზე და შემდეგ მის მოქმედებებზე.

მოსალოდნელი შედეგები

- იგებს ერთი საგნის მნიშვნელობას: არსებითი სახელი მაგ. კატა/ზმნა მაგ. სძინავს.

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფ ბავშვს, როგორ წესი, შეუძლია ინფორმაციის ერთი ერთეულის ათვისება, მაგრამ ეს აქტივობა დაეხმარება მას შესაბამისი უნარის განვითარებაში და 2 ერთეულის ათვისებაში. გამოყავით თითოეული ინფორმაცია ჯერ არსებითი სახელის და შემდეგ ზმნის აკუსტიკური აქცენტირებით, მაგრამ იმისათვის რომ ბავშვმა იპოვოთ სწორი ბარათი, მას სჭირდება მხოლოდ ერთი ერთეულის გაგება, რადგან ყველა არსებითი სახელი და ზმნა განსხვავებულია.

სმენითი სენდვიჩი: დაკეცილი ბარათების დამალვა მასზე საუბრისას, გაძლევთ შესაძლებლობას ჯერ მოასმენინოთ სიტყვები. ამ გზით ბავშვის ყურადღება მხოლოდ თქვენს სიტყვებზე იქნება კონცენტრირებული. თუ ბავშვი ვერ პოულობს შესატყვის სურათს, სწრაფად შეახედეთ ბარათზე, მაგრამ შემდეგ სთხოვეთ, მაგიდაზე შესატყვისი ფერის ძებნამდე, დაელოდოს თქვენს მიერ ამ სიტყვების გამეორებას.

მოსალოდნელი შედეგები

- ცდილობს თქვას ორსიტყვიანი კომბინაცია. მაგალითად, ცხენის ხტომა (ან ნახტომი).

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი დასრულება: ბარათის პოვნისას გაიმეორეთ სამიზნე სიტყვები და მიაწოდეთ სიტყვათა კომბინაციის მოდელები. გაიმეორეთ ეს სიტყვა, გაჩერდით ზმნის წინ და ნახეთ, შეძლებს თუ არა ბავშვი წინადადების დასრულებას. ჩვენ უნდა ვიპოვოთ თაგვი…. , რომელიც იმალება. ჰმ, შენ ხედავ თაგვს … რომელიც იმალება? აი აქ არის! თაგვი იმალება. თაგვი ……..

გავრცობა და განგრძობა: გაიმეორეთ ყველაფერი რასაც ამბობს ბავშვი და იმისათვის, რომ წინადადება უფრო სრულყოფილი გახდეს, დაამატეთ კიდევ ერთი აკუსტიკურად აქცენტირებული სიტყვა. კი, თაგვი იმალება.

მოსალოდნელი შედეგები

- იწყებს სხვა ადამიანების ზოგიერთი გრძნობის გაგებას

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ადამიანის ჟესტიკულაციაზე და მიმიკაზე დაკვირვებით, ჩვენ შეგვიძლია მისი გრძნობების ამოცნობა. ისაუბრეთ ამაზე ყოველი წინადადების შედგენისას. ოჰ, ეს თაგვი შეშინებული ჩანს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. ფერადი წინადადებები

მომზადება

ამობეჭდეთ ფერები დ2 ა3 პატარა ზომის ბარათებზე.
მწკრივებად ამოჭერით ერთი და იგივე ფერის სურათები.

რესურსები

- ფერები დ2 ა3
- მაკრატელი

თქვენ უნდა დაამთხვიოთ ფერები და შეადგინოთ წინადადება.

1. ბავშვთან ერთად ბარათებად ამოჭერით სურათებიანი ზოლები. სურათების ამოჭრისას, ხაზი გაუსვით იმ სიტყვას, რომელიც სურათზე იქნება გამოსახული და დასვით იგი წინადადების ბოლოს. პირველი სურათი იქნება წინადადებაში საგნის აღმნიშვნელი სიტყვა, მეორე სურათი იქნება ზმნა, ხოლო მესამე სურათი იქნება თანდებულიანი ფრაზა (ან იმ ადგილის აღმნიშვნელი, სადაც ხდება ეს მოქმედება).
2. განათავსეთ ყველა ბარათი გამოსახულებით ზემოთ მაგიდაზე და შემდეგ აირჩიეთ ფერი, რომლითაც დაიწყებთ თამაშს.
3. იპოვეთ სამივე ბარათი ამ ფერის ფონით და დაეხმარეთ ბავშვს შეადგინოს წინადადება სურათზე გამოსახული შინაარსის მიხედვით. მაგალითად, ძაღლი ბაღში მიწას თხრის.
4. განათავსეთ დასრულებული "წინადადება" მაგიდის ბოლოში და გააგრძელეთ ახალი წინადადებების შედგენა ფერის მიხედვით, სანამ ყველა ბარათი არ დამთავრება.

მოსალოდნელი შედეგები

- იგებს ორი საგნის მნიშვნელობას. მაგალითად,. კატას სძინავს.
- იგებს მნიშვნელობას და პასუხობს კითხვაზე "სად...: მაგალითად, სად სძინავს კატას?

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წინადადების შედგენისას, თითოეულ სურათს დაამატეთ სალაპარაკო ენა. შეიძლება გაგიჭირდეთ მეორე სურათთან ასოცირებული ზმნის ამოცნობა. ბავშვები სურათზე უფრო ხშირად არსებით სახელებს აღნიშნავენ, ვიდრე ზმნებს. ისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ უნდა დაათვალიეროთ სურათი და გამოიყენოს სიტყვა ‘კეთება’ . რას აკეთებს თაგვი? იქნებ იმალება? ახლა ჩვენ უნდა გამოვიცნოთ, თუ სად იმალება თაგვი? იქნებ ეს სოროა?

სმენითი მეხსიერების შექმნა: წინადადების დასრულებისას სცადეთ ბარათების გადაბრუნება ისე, რომ სურათები ვეღარ დაინახოთ და გაიმეორეთ წინადადება, თითოეული ბარათის უკანა მხარეზე მითითებით. წაახალისეთ ბავშვი, რომ თქვენს შემდეგ რიგრიგობით გაიხსენოს წინადადება და დაეხმარეთ მას თითის გადაადგილებაში სურათებიანი ბარათების უკანა მხარეს.

მოსალოდნელი შედეგები

- აერთიანებს არსებით სახელს + ზმნას. მაგალითად: ცხენი ხტება.
- ამბობს თანდებულიან ფრაზას. მაგალითად: ღობეზე.

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი დასრულება: ყველა წინადადების დასრულების შემდეგ, დაალაგეთ ისინი მაგიდაზე და გამოიყენეთ როგორც ვიზუალური კარნახი. დაიწყეთ წინადადება და ნახეთ, შეძლებს თუ არა ბავშვი მის დასრულებას. აბა ვნახოთ, შეძლებ თუ არა ამ წინადადების დასსრულებას: “ბავშვი არის…”

გავრცობა და განგრძობა: გაიმეორეთ ყველაფერი რასაც ამბობს ბავშვი და იმისათვის, რომ წინადადება უფრო სრულყოფილი გახდეს, დაამატეთ კიდევ ერთი აკუსტიკურად აქცენტირებული სიტყვა (ან ინფორმაციის ერთი ერთეული). კი, ცხენი ღობეზე გადახტა.

მოსალოდნელი შედეგები

- შეუძლია სხვა ადამიანების გრძნობების ამოცნობა.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ადამიანის ჟესტიკულაციაზე, მიმიკაზე და სახის გამომეტყველებაზე დაკვირვებით, ჩვენ შეგვიძლია მისი გრძნობების ამოცნობა. ჩვენ ასევე შეგვიძლია დავუკავშიროთ ის, რაც ვიცით ჩვენი წარსული გამოცდილებიდან და ემოციების შესახებ. ისაუბრეთ ამაზე ყოველი წინადადების შედგენისას. ეს თევზი ბედნიერად გამოიყურება. იგი გაღიმებულია. მეც ვგრძნობ თავს ბედნიერად, როდესაც მეც ვცურავ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. ფერადი წინადადებები

მომზადება

ამობეჭდეთ ფერები დ3 ა3 პატარა ზომის ბარათებზე.
მწკრივებად ამოჭერით ერთი და იგივე ფერის სურათები.

რესურსები

- ფერები დ3 ა3
- მაკრატელი

თქვენ უნდა დაამთხვიოთ ფერები და შეადგინოთ წინადადება.

1. ბავშვთან ერთად ბარათებად ამოჭერით სურათებიანი ზოლები. სურათების ამოჭრისას, ხაზი გაუსვით იმ სიტყვას ან სიტყვებს, რომელიც სურათზე იქნება გამოსახული და დასვით იგი წინადადების ბოლოს. პირველი სურათი იქნება წინადადებაში საგნის აღმნიშვნელი სიტყვა, მეორე სურათი იქნება ზმნა, მესამე სურათი იქნება თანდებულიანი ფრაზა (ან იმ ადგილის აღმნიშვნელი, სადაც ხდება ეს მოქმედება), ხოლო ბოლო სურათი აღწერს თუ როდის ხდება მოქმედება.
2. განათავსეთ ყველა ბარათი გამოსახულებით ზემოთ მაგიდაზე და შემდეგ აირჩიეთ ფერი, რომლითაც დაიწყებთ თამაშს.
3. იპოვეთ 4 ბარათი ამ ფერის ფონით და დაეხმარეთ ბავშვს შეადგინოს წინადადება სურათზე გამოსახული შინაარსის მიხედვით. მაგალითად, ძაღლი დილით ბაღში მიწას თხრის.
4. განათავსეთ დასრულებული "წინადადება" მაგიდის ბოლოში და გააგრძელეთ ახალი წინადადებების შედგენა ფერის მიხედვით, სანამ ყველა ბარათი არ დამთავრება.

მოსალოდნელი შედეგები

- იგებს სამი საგნის მნიშვნელობას: არსებითი სახელი + ზმნა + ადგილმდებარეობა. ცხენი ღობეზე გადახტა.
- იგებს მნიშვნელობას და პასუხობს კითხვებზე "როდის..." მაგალითად დღისით.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წინადადების შედგენისას, თითოეულ სურათს დაამატეთ სალაპარაკო ენა. შეიძლება გაგიჭირდეთ მეორე სურათთან ასოცირებული ზმნის ამოცნობა. ბავშვები სურათზე უფრო ხშირად არსებით სახელებს აღნიშნავენ, ვიდრე ზმნებს. ისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ უნდა დაათვალიეროთ სურათი და გამოიყენოს სიტყვა ‘კეთება’ . რას აკეთებს თაგვი? იქნებ იმალება? ახლა ჩვენ უნდა გამოვიცნოთ, თუ სად იმალება თაგვი? იქნებ ეს სოროა?

სმენითი მეხსიერების შექმნა: წინადადების დასრულებისას სცადეთ ბარათების გადაბრუნება ისე, რომ სურათები ვეღარ დაინახოთ და გაიმეორეთ წინადადება, თითოეული ბარათის უკანა მხარეზე მითითებით. წაახალისეთ ბავშვი, რომ თქვენს შემდეგ რიგრიგობით გაიხსენოს წინადადება და დაეხმარეთ მას თითის გადაადგილებაში სურათებიანი ბარათების უკანა მხარეს.

მოსალოდნელი შედეგები

- აერთიანებს არსებით სახელს + ზმნას + თანდებულიან ფრაზას: ბიჭი სამზარეულოში ჭამს.
- იყენებს მესამე პირის ზმნებს: ჭამს, ტირის, იმალება.

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი დასრულება: ყველა წინადადების დასრულების შემდეგ, დაალაგეთ ისინი მაგიდაზე და გამოიყენეთ როგორც ვიზუალური კარნახი. დაიწყეთ წინადადება და ნახეთ, შეძლებს თუ არა ბავშვი მის დასრულებას. აბა ვნახოთ, შეძლებ თუ არა ამ წინადადების დასსრულებას: “ბავშვი არის…”

გავრცობა და განგრძობა + გამოიყენეთ ვარიანტები: გაიმეორეთ ყველაფერი რასაც ამბობს ბავშვი და იმისათვის, რომ წინადადება უფრო სრულყოფილი გახდეს, დაამატეთ კიდევ ერთი აკუსტიკურად აქცენტირებული სიტყვა (ან ინფორმაციის ერთი ერთეული). როგორ ფიქრობთ, უნდა ვთქვათ “ზაფხულში თაგვი სოროში იმალება თუ ზამთარში თაგვი სოროში იმალება?”.

მოსალოდნელი შედეგები

- საუბრობს სხვა ადამიანების გრძნობების შესახებ და სთავაზობს დახმარებას სხვებს და ეხმარება თავის თავს.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: დაეხმარეთ ბავშვს იპოვოს შესაძლო გადაწყვეტილებები საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად. ბავშვი ისე მოწყენილად გამოიყურება. როცა მოწყენილი ვარ, მეგობრებთან სალაპარაკოდ მივდივარ. და შენ? როგორ ფიქრობთ, რისი გაკეთება შეგვიძლია, თუ მოწყენილ მეგობარს დავინახავთ?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ფერადი წინადადებები

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ფერადი წინადადებები



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ფერადი წინადადებები

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ფერადი წინადადებები



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ფერადი წინადადებები



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ფერადი წინადადებები



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. შეჭამე ცისარტყელა

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე.
საჭიროების შემთხვევაში, დაჭერით გვერდები და განათავსეთ მაგიდაზე.

რესურსები

- ფერები დ1 დ2 დ3 ა4
- მაკრატელი და სტეპლერი

თქვენ აპირებთ წიგნის ერთად დამზადებას და შემდეგ წაკითხვას.

1. იპოვეთ სათაურის გვერდი და ისაუბრეთ ცისარტყელაზე.
2. მიუთითეთ წითელი ვაშლის ნაჭერზე და აღნიშნეთ, როგორ ემთხვევა მისი ფერი ცისარტყელას ფერს.
3. სთხოვეთ ბავშვს მოძებნოს ვაშლის სურათიანი გვერდი და განათავსეთ იგი სათაურის გვერდის უკან.
4. დაბრუნდით სათაურის გვერდზე და შეხედეთ შემდეგ საკვებ პროდუქტს - სტაფილოს. ისაუბრეთ ფერზე, შემდეგ კვლავ მოძებნეთ შესატყვისი გვერდი და განათავსეთ იგი უკან.
5. გაიმეორეთ მოქმედება მანამ, სანამ ყველა გვერდი წიგნში არ იქნება მოთავსებული და შემდეგ დაასტეპლერეთ.
6. წაიკითხეთ წიგნის თითოეული გვერდი ნელ ტემპში, შეჩერდით თითოეული გვერდის ბოლოს, რათა ხელი შეუწყოთ ბავშვს გაიმეოროს ერთი ან ორი სიტყვა.

მოსალოდნელი შედეგები

- ამახვილებს წინადადებაში ყურადღებას ერთ საგანზე.

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: ამ წიგნის თითოეული გვერდი შეიცავს ინფორმაციის 5 ერთეულს. გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირების მეთოდი, მაგალითად, დაამატეთ პაუზა სიტყვის დაწყებამდე და თქვით ცოტა ნელა ან ხმამაღლა, რათა დაეხმაროთ პირველ დონეზე მყოფ ბავშვს გაამახვილოს ყურადღება მხოლოდ ერთ მათგანზე. თქვენ შეგიძლიათ ცვალოთ ხოლმე გამოყოფილი სიტყვები ყოველი წაკითხვისას, რითაც დაეხმარებით ბავშვს სხვადასხვა ტიპის სიტყვების გაგებაში.

წიგნები, წიგნები, წიგნები: სხვადასხვა წიგნების კითხვა ეხმარება ბავშვს სხვადასხვა სიტყვებისა და მათი ერთმანეთთან შერწყმის გზების გაგებაში, რაც შეიძლება არ გვხვდებოდეს ყოველდღიურ საუბარში. სადილის დროს შეიძლება არ მოგიწიოთ ამ ფრაზის თქმა: ყვითელი სიმინდის 5 მარცვალი, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა საბოლოოდ გაიგოს რას ნიშნავს ეს ყველა სიტყვა.

მოსალოდნელი შედეგები

- ამბობს წინადადებიდან ერთ სიტყვას.

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: დასვით ბავშვი მხარიმხარ თქვენსა და ბავშვის მშობელს/აღმზრდელს შორის. ეს აძლევს ბავშვს აუდიტორული სიგნალების საუკეთესო ხარისხს და ასევე საშუალებას გაძლევთ ადვილად გადააწოდოთ წიგნი მშობელს/აღმზრდელს, რათა შეძლონ რიგრიგობით წაკითხვა.

ჩემი ხმა მნიშვნელოვანია: თქვენ შეგიძლიათ დაიხმაროთ მშობელი/აღმზრდელი, ბავშვის მიერ მოთხრობის თვალყურის დევნების უნარის გამომუშავებისთვის. წაიკითხეთ გვერდი და გააკეთეთ აკუსტიკური აქცენტირება ერთ სიტყვაზე, მერე გადააწოდეთ წიგნი მშობელს/ აღმზრდელს, რომელიც ამ სიტყვას გაიმეორებს, შემდეგ კი გადააწოდეთ წიგნი ბავშვს რომ მანაც გაიმეოროს. შეიძლება მას პირველ ცდაზე იდეალურად არ გამოუვიდეს, მაგრამ მაინც შეაქეთ ყველა მისი მცდელობა.

მოსალოდნელი შედეგები

- შეუძლია შეუსაბამოს ობიექტს ფერი.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: როდესაც წიგნის დამზადების პროცესში ცისარტყელას ფერის შესაბამის საკვებს აღნიშნავთ, შეგიძლიათ ასევე ისაუბროთ ოთახში არსებულ სხვა იგივე ფერის საგნებზეც ან, თუ ბავშვს უფრო აბსტრაქტულად შეუძლია აზროვნება, შეგიძლიათ ისაუბროთ იმ საგნებზე და საკვებზე, რომლებიც ამ ოთახში არ არის.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. შეჭამე ცისარტყელა

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე.
საჭიროების შემთხვევაში, დაჭერით გვერდები და განათავსეთ მაგიდაზე.

რესურსები

- ფერები დ1 დ2 დ3 ა4
- მაკრატელი და სტეპლერი

თქვენ აპირებთ წიგნის ერთად დამზადებას და შემდეგ წაკითხვას.

1. იპოვეთ სათაურის გვერდი და ისაუბრეთ ცისარტყელაზე.
2. მიუთითეთ წითელი ვაშლის ნაჭერზე და აღნიშნეთ, როგორ ემთხვევა მისი ფერი ცისარტყელას ფერს.
3. სთხოვეთ ბავშვს მოძებნოს ვაშლის სურათიანი გვერდი და განათავსეთ იგი სათაურის გვერდის უკან.
4. დაბრუნდით სათაურის გვერდზე და შეხედეთ შემდეგ საკვებ პროდუქტს - სტაფილოს. ისაუბრეთ ფერზე, შემდეგ კვლავ მოძებნეთ შესატყვისი გვერდი და განათავსეთ იგი უკან.
5. გაიმეორეთ მოქმედება მანამ, სანამ ყველა გვერდი წიგნში არ იქნება მოთავსებული და შემდეგ დაასტეპლერეთ.
6. წაიკითხეთ წიგნის თითოეული გვერდი ნელ ტემპში, შეჩერდით თითოეული გვერდის ბოლოს, რათა ხელი შეუწყოთ ბავშვს გაიმეოროს ზოგიერთი სიტყვა.

მოსალოდნელი შედეგები

- შეუძლია წინადადებიდან 2-3 სიტყვის დამახსოვრება

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: ამ წიგნის თითოეული გვერდი შეიცავს ინფორმაციის 5 ერთეულს. გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირების მეთოდი. მაგალითად, დაამატეთ პაუზა სიტყვის დაწყებამდე და თქვით ცოტა ნელა ან ხმამაღლა, რათა დაეხმაროთ მეორე დონეზე მყოფ ბავშვს გაამახვილოს ყურადღება მხოლოდ ორ მათგანზე. თქვენ შეგიძლიათ ცვალოთ ხოლმე გამოყოფილი სიტყვები ყოველი წაკითხვისას, რითაც დაეხმარებით ბავშვს სხვადასხვა ტიპის სიტყვების გაგებაში.

წიგნები, წიგნები, წიგნები: სხვადასხვა წიგნების კითხვა ეხმარება ბავშვს სხვადასხვა სიტყვებისა და მათი ერთმანეთთან შერწყმის გზების გაგებაში, რაც შეიძლება არ გვხვდებოდეს ყოველდღიურ საუბარში. სადილის დროს შეიძლება არ მოგიწიოთ ამ ფრაზის თქმა: ყვითელი სიმინდის 5 მარცვალი, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა საბოლოოდ გაიგოს რას ნიშნავს ეს ყველა სიტყვა.

მოსალოდნელი შედეგები

- ამბობს ზედსართავ სახელს ან რიცხვით სახელს. მაგალითად: მწვანე სალათის ფოთოლი, 6 სტაფილოს ჩხირი.

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: დასვით ბავშვი მხარიმხარ თქვენსა და ბავშვის მშობელს/აღმზრდელს შორის. ეს აძლევს ბავშვს აუდიტორული სიგნალების საუკეთესო ხარისხს და ასევე საშუალებას გაძლევთ ადვილად გადააწოდოთ წიგნი მშობელს/აღმზრდელს, რათა შეძლონ რიგრიგობით წაკითხვა.

ჩემი ხმა მნიშვნელოვანია და გავრცობა და განგრძობა: თქვენ შეგიძლიათ დაიხმაროთ მშობელი/აღმზრდელი, ბავშვის მიერ მოთხრობის თვალყურის დევნების უნარის გამომუშავებისთვის. წაიკითხეთ გვერდი და გააკეთეთ აკუსტიკური აქცენტირება ორ ან სამ სიტყვაზე, მერე გადააწოდეთ წიგნი მშობელს/აღმზრდელს, რომელიც ამ სიტყვას გაიმეორებს, შემდეგ კი გადააწოდეთ წიგნი ბავშვს რომ მანაც გაიმეოროს. გაიმეორეთ ყველაფერი რასაც ამბობს ბავშვი, დაამატეთ კიდევ ერთი სიტყვა ან ინფორმაციის ერთეული და დაელოდეთ ბავშვის კიდევ ერთ მცდელობას.

მოსალოდნელი შედეგები

- საუბრობს საგნებზე ფერების მიხედვით.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე:როდესაც წიგნის დამზადების პროცესში ცისარტყელას ფერის შესაბამის საკვებს აღნიშნავთ, შეგიძლიათ ასევე ისაუბროთ ოთახში არსებულ სხვა იგივე ფერის საგნებზეც ან, თუ ბავშვს უფრო აბსტრაქტულად შეუძლია აზროვნება, შეგიძლიათ ისაუბროთ იმ საგნებზე და საკვებზე, რომლებიც ამ ოთახში არ არის.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. შეჭამე ცისარტყელა

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე.
საჭიროების შემთხვევაში, დაჭერით გვერდები და განათავსეთ მაგიდაზე.

რესურსები

- ფერები დ1 დ2 დ3 ა4
- მაკრატელი და სტეპლერი

თქვენ აპირებთ წიგნის ერთად დამზადებას და შემდეგ წაკითხვას.

1. იპოვეთ სათაურის გვერდი და ისაუბრეთ ცისარტყელაზე.
2. მიუთითეთ წითელი ვაშლის ნაჭერზე და აღნიშნეთ, როგორ ემთხვევა მისი ფერი ცისარტყელას ფერს.
3. სთხოვეთ ბავშვს მოძებნოს ვაშლის სურათიანი გვერდი და განათავსეთ იგი სათაურის გვერდის უკან.
4. დაბრუნდით სათაურის გვერდზე და შეხედეთ შემდეგ საკვებ პროდუქტს - სტაფილოს. ისაუბრეთ ფერზე, შემდეგ კვლავ მოძებნეთ შესატყვისი გვერდი და განათავსეთ იგი უკან.
5. გაიმეორეთ მოქმედება მანამ, სანამ ყველა გვერდი წიგნში არ იქნება მოთავსებული და შემდეგ დაასტეპლერეთ.
6. წაიკითხეთ წიგნის თითოეული გვერდი ნელ ტემპში, შეჩერდით თითოეული გვერდის ბოლოს, რათა ხელი შეუწყოთ ბავშვს გაიმეოროს რაც შეიძლება მეტი სიტყვა თითოეული გვერდიდან.

მოსალოდნელი შედეგები

- შეუძლია თითო წინადადებიდან 4-5 სიტყვის გამეორება.

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: ამ წიგნის თითოეული გვერდი შეიცავს ინფორმაციის 5 ერთეულს. გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირების მეთოდი. მაგალითად, დაამატეთ პაუზა სიტყვის დაწყებამდე და თქვით ცოტა ნელა ან ხმამაღლა, რათა დაეხმაროთ მეორე დონეზე მყოფ ბავშვს გაამახვილოს ყურადღება მინიმუმ სამ მათგანზე. თქვენ შეგიძლიათ ცვალოთ ხოლმე გამოყოფილი სიტყვები ყოველი წაკითხვისას, რითაც დაეხმარებით ბავშვს სხვადასხვა ტიპის სიტყვების გაგებაში.

წიგნები, წიგნები, წიგნები: სხვადასხვა წიგნების კითხვა ეხმარება ბავშვს სხვადასხვა სიტყვებისა და მათი ერთმანეთთან შერწყმის გზების გაგებაში, რაც შეიძლება არ გვხვდებოდეს ყოველდღიურ საუბარში. სადილის დროს შეიძლება არ მოგიწიოთ ამ ფრაზის თქმა: ყვითელი სიმინდის 5 მარცვალი, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა საბოლოოდ გაიგოს რას ნიშნავს ეს ყველა სიტყვა.

მოსალოდნელი შედეგები

- ამბობს რიცხვით სახელს, ზედსართავ სახელს, არსებით სახელს ან რიცხვით სახელს, გამყოფ სიტყვას და არსებით სახელს. მაგალითად: ვაშლის 7 ნაჭერი.
- იყენებს ზოგიერთ გამყოფ სიტყვას. მაგალითად: ნაჭერი, მარცვალი.

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: დასვით ბავშვი მხარიმხარ თქვენსა და ბავშვის მშობელს/აღმზრდელს შორის. ეს აძლევს ბავშვს აუდიტორული სიგნალების საუკეთესო ხარისხს და ასევე საშუალებას გაძლევთ ადვილად გადააწოდოთ წიგნი მშობელს/აღმზრდელს, რათა შეძლონ რიგრიგობით წაკითხვა.

ჩემი ხმა მნიშვნელოვანია და გავრცობა და განგრძობა: თქვენ შეგიძლიათ დაიხმაროთ მშობელი/ აღმზრდელი, ბავშვის მიერ მოთხრობის თვალყურის დევნების უნარის გამომუშავებისთვის. წაიკითხეთ გვერდი და გააკეთეთ აკუსტიკური აქცენტირება ინფორმაციის სამ ერთეულზე, მერე გადააწოდეთ წიგნი მშობელს/ აღმზრდელს, რომელიც ამ სიტყვებს გაიმეორებს, შემდეგ კი გადააწოდეთ წიგნი ბავშვს რომ მანაც გაიმეოროს. გაიმეორეთ ყველაფერი რასაც ამბობს ბავშვი, დაამატეთ კიდევ ერთი სიტყვა ან ინფორმაციის ერთეული და დაელოდეთ ბავშვის კიდევ ერთ მცდელობას.

მოსალოდნელი შედეგები

- შეუძლია შეადგინოს კონკრეტული ფერის პროდუქტების ჩამონათვალი.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მესამე დონეზე მყოფ ბავშვს აქვს უფრო აბსტრაქტულად აზროვნების უნარი, ამიტომ შეეცადეთ ისაუბროთ სხვა საკვებზე, რომლებიც ამ ოთახში არ არის. გონების თეორიის განვითარებისთვის უნდა გამოიყენეთ ისეთი სტატიკურ ზმნები, როგორიცაა „იფიქრე“ და „დაიმახსოვრე“, „წარმოიდგინე“. რამდენი ნარინჯისფერი საკვების მოფიქრება შეგვიძლია. მე გოგრაზე ვიფიქრე. იფიქრე იმაზე, რისი ჭამაც გიყვარს, იქნებ რამე ნარინჯისფერი გაგახსენდეს. წარმოიდგინე, ბანანი რომ ნარინჯისფერი ყოფილიყო... რა სასაცილო იქნებოდა.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. შეჭამე ცისარტყელა

შეჭამე ცისარტყელა.

წითელი ვაშლის 7 კრიალა ნაჭერი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. შექამე ცისარტყელა



ნარინჯისფერი სტაფილოს
6 ხრაშუნა ჩხირი.

ყვითელი სიმინდის
5 მარცვალი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. შექამე ცისარტყელა

მწვანე სალათის
4 ლამაზი ფოთოლი.



მოცვის
3 პატარა ბურთულა.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. შეჭამე ცისარტყელა

მუქი ლურჯი კომბოსტოს
2 ზოლი.

1 ტკბილი და წვნიანი
იისფერი ყურძენი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED-EL ოფისები მსოფლიოს მასშტაბით

ამერიკა

არგენტინა
medel@medel.com.ar

კანადა
officecanada@medel.com

კოლუმბია
office-colombia@medel.com

მექსიკა
office-mexico@medel.com

აშშ
implants@medelus.com

აზია - წყნარი ოკეანის რეგიონი

ავსტრალია
office@medel.com.au

ჩინეთი
office@medel.net.cn

ჰონგ კონგი
office@hk.medel.com

ინდოეთი
implants@medel.in

ინდონეზია
office@id.medel.com

იაპონია
office-japan@medel.com

მალაიზია
office@my.medel.com

ფილიპინები
office@ph.medel.com

სინგაპური
office@sg.medel.com

სამხრეთ კორეა
office@kr.medel.com

ტაილანდი
office@th.medel.com

ვიეტნამი
office@vn.medel.com

ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა

ავსტრია
office@at.medel.com

ბელგია
office@be.medel.com

ფინეთი
office@fi.medel.com

საფრანგეთი
office@fr.medel.com

გერმანია
office@medel.de

იტალია
ufficio.italia@medel.com

პორტუგალია
office@pt.medel.com

ესპანეთი
office@es.medel.com

სამხრეთ აფრიკა
customerserviceZA@medel.com

არაბეთის გაერთიანებული ემირატები
office@ae.medel.com

გაერთიანებული სამეფო
customerservices@medel.co.uk

M00401 1.0